

შეკვეთილი დანართის მართლწერა

(სახლი-მუზეუმი თუ სახლ-მუზეუმი?)

დანართი (ანუ, როგორც ზოგჯერ ეძახიან, მიმატება) განსაზღვრების ერთი სახეობათაგანია. მას ისეთ განსაზღვრებას (მსაზღვრელს) უწოდებენ, რომელიც არსებითი სახელის სახითაა წარმოდგენილი, არსებითი სახელი განსაზღვრავს არსებით სახელს. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელი არსებითი დანართის (მიმატების) სახელით არის ცნობილი.

გაირჩევა ორგვარი სახეობა ურთიერთობისა. ერთ შემთხვევაში არსებითი სახელი და მსაზღვრელი არსებითი სახელი (დანართი) ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორშიც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრული, და ცალ-ცალკე არიან წარმოდგენილი: ფოლადი ადამიანი, რკინა კაცი, მახვავლებელი დავითი, ეჭიმი გომართელი, გენერალი გედევანიშვილი, ქალაქი ქუთაისი და სხვ. მეორე შემთხვევაშიც ისევ მსაზღვრელ-საზღვრული გვაქვს, მაგრამ ორივე ერთად ერთ სიტყვადაა გააზრიანებული, გაკომპოზიტებულია. ამის ნიმუშებია ვირთხა, ძელქვა, ვაშლატამი, ხირაქლემა, მუხანგვი და მისთ. მეორე შემთხვევა პირველისაგან იმითაც განსხვავდება, რომ პირველ შემთხვევაში დანართი ფუძის სახით არ შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში კი იგი სწორედ ფუძის სახითაა მოცემული.

პირველ შემთხვევაში დანართი საზღვრ ულთან ერთად მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ჩვეულებრივ წესს ექვემდებარება: ისევე იბრუნვის, როგორც საზღვრულის წინ დასმული თანხმოვანფუძიანი ან ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ თანხმოვანფუძიანია, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნებებში ბრუნვის ნიშანს მთლიანად იკვეცს.

სახელობითი	—	ქალაქი	ქუთაისი	გენერალი	გედევანიშვილი
მოთხრობითი	—	ქალაქმა	ქუთაისმა	გენერალმა	გედევანიშვილმა
მიცემითი	—	ქალაქ	ქუთაისს	გენერალ	გედევანიშვილს
მიმართულებითი	—	ქალაქ	ქუთაისად	გენერალ	გედევანიშვილად
ნათესაობითი	—	ქალაქ	ქუთაისის	გენერალ	გედევანიშვილის
მოქმედებითი	—	ქალაქ	ქუთაისით	გენერალ	გედევანიშვილით
წოდებითი	—	ქალაქო	ქუთაისო	გენერალო	გედევანიშვილო

შდრ: სახელობითი	—	მოხუცი	კაცი
მოთხრობითი	—	მოხუცმა	კაცმა
მიცემითი	—	მოხუც	კაცს
მიმართულებითი	—	მოხუც	კაცად
ნათესაობითი	—	მოხუცი	კაცის
მოქმედებითი	—	მოხუცი	კაცით
წოდებითი	—	მოხუცო	კაცო

ამ შემთხვევაში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნებში მსახურელ სახელს ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნების ნმოცნითი ი ელემენტი შენარჩუნებული აქვს.

მეორე შემთხვევაში დანართიან სახელი კომპოზიტია და იბრუნვის როგორც ერთი სიტყვა.

სახელობითი	—	ძელქვა
მოთხრობითი	—	ძელქვა-მ
შიცემითი	—	ძელქვა-ს
მიმართულებითი	—	ძელქვა-დ
ნათესაობითი	—	ძელქვ -ის
მოქმედებითი	—	ძელქვ -ით
წოდებითი	—	ძელქვა-ვ

რუსულ ენაში გავრცელებულია შერწყმული დანართი, რომელიც სახლერულთან ერთად იბრუნვის და წერაში დედისით არის მასთან შეერთებული: *книжечитательня, поэт-революционер, писатель-коммунист, телефон-автомат, волшебница-зима, церк-колокол* და სხვ.

ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარდამავალი საფეხური ზემოთ დასახელებულ ორ შემთხვევას შორის.

რუსულის მსგავსად ქართულშიც იკიდებს ფეხს შერწყმული დანართი. მას ქართულშიაც დედისით აერთებენ საზღვრულ სიტყვასთან, მაგრამ შერწყმისას პირველი წევრის, ე. ი. თვით დანართის, გადმოცემაში ერთგვარობა არაა დატული. ზოგჯერ იგი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ზოგჯერაც სახელობითი ბრუნვის ფორმით. ერთი მხრით, გვაქვს: *სახლ-მუზეუმი, აკადემიკოს-მდივანი, წევრ-კორესპონდენტი, ტელეფონ-ავტომატი* და ა. შ., ხოლო, მეორე მხრით, *სახლი-მუზეუმი, აკადემიკოსი-მდივანი, წევრი-კორესპონდენტი, ტელეფონი-ავტომატი* და ა. შ. არის შემთხვევები, როცა პარალელური ფორმები აღარ გვაქვს და პირველი წევრი მხოლოდ ფუძის სახითაა წარმოდგენილი *ქოხ-სამკითხველო*.

როდესაც პირველი წევრი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაშინ ორივე წევრი იბრუნვის: *წევრი-კორესპონდენტი, წევრმა-კორესპონდენტმა* და ა. შ. მაგრამ ქართულში არის ტენდენცია, რომ პირველი წევრი გადმოიყვანოს ფუძის სახით და ორივე წევრი იბრუნდეს ერთად, როგორც ერთი სიტყვა.

ამის შესაბამისად წერაში ერთგვარობის დასამყარებლად სალიტერატურო ქართულში უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი წესი:

ა) რუსულის მსგავსად ქართულში გაიზიდავინ ან რუსულიდან შემოსული შერწყმული დანართის პირველი წევრი გადმოიყვანოს ფუძის სახით და დაიწეროს საზღვრულთან ერთად დედისით.

მაშასადამე, გვაქნება: *მუზეუმ-ნაყრძალი, წევრ-კორესპონდენტი, პოეტ-აკადემიკოსი, აკადემიკოს-მდივანი, სახლ-მუზეუმი, ტელეფონ-ავტომატი, პოეტ-რევოლუციონერი, ექიმ-კონსულტანტი, მუზეუმ-კარმიდამო, მოგზაურ-ეთნოგრაფი, ქოხ-სამკითხველო* და სხვ.

ბ) შერწყმული დანართი იბრუნვოდეს მთლიანად როგორც ერთი სიტყვა.

სახელობითი	—	ქოხ-სამკითხველო	წევრ-კორესპონდენტ-ი
მოთხრობითი	—	ქოხ-სამკითხველო-მ	წევრ-კორესპონდენტ-მა
შიცემითი	—	ქოხ-სამკითხველო-ს	წევრ-კორესპონდენტ-ს
მიმართულებითი	—	ქოხ-სამკითხველო-დ	წევრ-კორესპონდენტ-ად

ნათესაობითი	— ქობ-სამკითხველო-ს	წევრ-კორესპონდენტ-ის
მოქმედებითი	— ქობ-სამკითხველო-თი	წევრ-კორესპონდენტ-ით
წოდებითი	— ქობ-სამკითხველო	წევრ-კორესპონდენტ-ო

ამ წესს მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ამ გზითაა ქართულში მიღებული, როგორც ზემოთაა ნათქვამი, ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტები: ძელქვა, ვაშლატამი, შაქარვაშლა და მისთ.; მეორე მხრით, ქართულში უკვე დამკვიდრებული დანართიანი კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი ფუძის სახითაა წარმოდგენილი და რომელთა ორივე წევრი ერთად იბრუნვის, როგორც ერთი სიტყვა. ვწერთ მათ დეფისით. ასეთებია: გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-პოლკოვნიკი, ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-მეტალურგი, ინჟინერ-მექანიკოსი, ინჟინერ-ტექნოლოგი, ინჟინერ-ქიმიკოსი, პრემიერ-მინისტრი, რევიზორ-ინსპექტორი, სოციალ-დემოკრატი და მრავალი სხვა.